KA040168653802321

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ g917 **04 / თებერვალი / 2021 წ.**

საჯარო დაწესებულებებს

მოგესალმებით,

როგორც მოგეხსენებათ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და მასში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მთელი რიგი ინფორმაციის ასახვის ვალდებულება. საჯარო დაწესებულებების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის სრულყოფილად ასახვა, ამ სისტემის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარ ელემენტს წარმოადგენს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ზემოხსენებული ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო, ბიუროს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, 2021 წლის პირველი იანვრიდან, „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის № 01-133/ნ ბრძანებით, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების აღების მიზნით, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს დაევალა, საჯარო მოსამსახურის სტატუსის შესახებ ინფორმაციის მოძიება ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში და შესაბამისი ცნობის გაცემა. აღნიშნული ცნობის საფუძველზე სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო გასცემს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ შესაბამის გასაცემელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული ცნობა, საჯარო მოსამსახურის სტატუსის შესახებ, ეფუძნებოდეს საჯარო დაწესებულებების მიერ ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასახულ სრულყოფილ და სანდო მონაცემებს, აუცილებელია, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოთ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის (პირველ ეტაპზე-სახელი, გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა) სრულყოფილი ასახვა და მისი სისტემატიური განახლება.

იმ საჯარო დაწესებულებებმა, რომელთაც არ აქვთ დანერგილი ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, აუცილებელია, რომ ბიუროსთან თანამშრომლობით მოახდინონ აღნიშნული სისტემის უმოკლეს ვადაში დანერგვა ან ამ სისტემასთან თავიანთი სისტემების სათანადო ინტეგრაცია იმ სახით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულფასოვანი შესრულება.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა